

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

\_\_\_ ნომბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N91-ში მდებარე 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N91-ში არსებული 45,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037) ინგა ჯინჭარაძისათვის (პ/ნ 610040001962) პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 500,0 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება ინგა ჯინჭარაძეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი დაფარავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ემზარ ზოიძესა და ვალენტინა ჩერნინას შორის ადრე არსებული, 2017 წლის 28 ივლისის სარგებლობის ხელშეკრულებით ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N91-ში არსებულ 45,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037) ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის არსებულ სარგებლობის საფასურის დავალიანებას.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N 14386/25; 14,08,2020წ) მომართა ინგა ჯინჭარაძემ, რომლითაც ითხოვს ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.23.12.006.01.509) მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის კაფე-ბარის (რესტორანი) საქმიანობისათვის გამოყენების მიზნით. განმცხადებლის განმარტებით აღნიშნულ ფართზე არსებობს მოქალაქეების - ემზარ ზოიძისა ვალენტინა ჩერნინას საიჯარო დავალიანება ქალაქ ბათუმის მერიის მიმართ და იღებს ვალდებულებას არსებული დავალიანების დაფარვაზე განწილვადებით მის მიერ გადასახდელ საიჯარო თანხასთან ერთად 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ინგა ჯინჭარაძის განცხადება და მის სარგებლობაში არსებულ მოქმედ რესტორანთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე 45,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037; მიწის საპრივატიზებო ღირებულება 26 325,0 ლარი; 5%-1316,25 ლარი; აუდიტის დასკვნა #ბთ/მ-96 08.10.2020წ.) მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1 500,0 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება ინგა ჯინჭარაძეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი დაფარავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ემზარ ზოიძესა და ვალენტინა ჩერნინას შორის ადრე არსებული, 2017წლის 28 ივლისის სარგებლობის ხელშეკრულებით ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში არსებულ 45,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037) ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის არსებულ სარგებლობის საფასურის დავალიანებას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კომერციულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით იჯარით სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 1 500,0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე